საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/ 236

ქ. ბათუმი 10 ოქტომბერი, 2022 წელი

თსუ-ს და ბსუ-ს ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)" 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხული მაგისტრანტების ბსუ-ს სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მედია და ინოვაციები" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 10 ივნისის N06-01/48 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 5 აგვისტოს N01-02/196 ბრძანების,** ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 აგვისტოს N01-02/200 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 05 სექტემბრის N01-02/216 ბრძანებით), **თსუ-ში გაგზავნილი ბსუ-ს წერილის (N1151323, 23.09.2022 წ)** და ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ბსუ) ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)" 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ" **თსუ-ს რექტორის 2022 წლის 3 ოქტომბრის N836/01-04 ბრძანების, თსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წერილის** (MES 3 22 0001231016 05/10/2022), ,,ბსუ-ს პერსონალის გერმანიაში მასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტთან (Internationales Institut für Hospitality (IIFH)) გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 21 სექტემბრის № 01-14/400 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თსუ-ს და ბსუ-ს ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)" 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან **თსუ-ს რექტორის 2022 წლის 3 ოქტომბრის N836/01-04 ბრძანებით თსუ-ს ჩარიცხული 6** მაგისტრანტის (წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად) **განცხადებების გათვალისწინებით** ბსუ-ს სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და ადმინისტრირების მიზნით **ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების მიერ გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:**

   ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უზრუნველყოს ჩარიცხული მაგისტრანტების ინფორმირება თსუ-ს რექტორის 2022 წლის 3 ოქტომბრის N836/01-04 ბრძანების, ბსუ-ს პორტალზე აკადემიური რეგისტრაციის ან/და სხვა საუნივერსიტეტო სერვისების ხელმისაწვდომობის, ასევე ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების შესახებ, ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ციფრული მედია და ინოვაციები" განხორციელების შესახებ თსუ-ს და ბსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

   ბ) ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ბსუ-ს პორტალზე მაგისტრანტების რეგისტრაციისა და სარგებლობის პროცედურების შეუფერხებელი განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტთა დამატებითი კონსულტირება და მიმდინარე სემესტრში მაგისტრანტთა მიერ განხორციელებული აკადემიური რეგისტრაციის შედეგების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა;

   გ) ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების N1 დანართში აღნიშნული მაგისტრანტებისათვის მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვა, ბსუ-ში მათ მიერ განხორციელებული აკადემიური რეგისტრაციის შედეგების შესახებ სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე.

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მ/შ. **ა. ბერიძე**

,,თსუ-ს და ბსუ-ს ერთობლივ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)“ 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხული მაგისტრანტების ბსუ-ს სასწავლო პროცესში მონაწილეობისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2022 წლის 10 ოქტომბრის N 01-02/236 ბრძანების

დანართი N1

N	სახელი	გვარი	პირადი N	საიდენტიფიკაციო კოდი	საგანმანათლებლო პროგრამა	მიმართულება	60 კრედიტზე ღირებულება (ლარი)	საკონკურსო ქულა
1	ანა	ბაჟუნაიშვილი		209500203	ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	2250	78.6
2	მარიამ	ბოლქვაძე		208717864	ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	2250	84.8
3	ელიზა	ეფაძე		207146493	ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	2250	82.7
4	იზოლდა	თურმანიძე		209487630	ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	2250	68
5	დიანა	ცეცხლაძე		207658746	ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	2250	69.9
6	მარიამ	ხალვაში		207777840	ციფრული მედია და ინოვაციები (ერთობლივი)	სოციალური მეცნიერებები (გარდა ეკონომიკისა)	2250	69.3